

შპს ჯ.ზ. ჯიჰანი
ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


შპს ჯ.ზ. ჯიჰანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	131 806,00	111 977,00	427 608,00
სავაჭრო მოთხოვნები	389 822,00	344 991,00	181 330,00
მარაგები	1 753 064,00	1 863 621,00	1 214 544,00
მზა პროდუქცია	1 753 064,00	1 863 621,00	1 214 544,00
სხვა მიმდინარე აქტივები	563,00	-	-
ძირითადი საშუალებები	44 567,00	30 936,00	5 553,00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	30 000,00	-	-
სულ აქტივები	2 349 822,00	2 351 525,00	1 829 035,00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	82 441,00	246 279,00	190 206,00
საგადასახადო ვალდებულებები	102 647,00	84 647,00	61 272,00
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	826 274,00	1 019 070,00	678 286,00
სულ ვალდებულებები	1 011 362,00	1 349 996,00	929 764,00
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1 338 460,00	1 001 529,00	899 271,00
სულ საკუთარი კაპიტალი	1 338 460,00	1 001 529,00	899 271,00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 349 822,00	2 351 525,00	1 829 035,00

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

მთავარი ბუღალტერი
დირექტორი



თამარ ნანიტაშვილი
ნუნუ ხაჩიძე

შპს ჯ.ზ. ჯიჰანი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის ქართულ ლარში

საქმიანობის შედეგები		
	2019	2018
საქმიანობის შედეგები	2047459	2310695
ნეტო ამონაგები	2047459	2310695
საქონლის გაყიდვიდან	-1314313	-1436285
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	733146	874410
საერთო მოგება	-120863	-212953
დასაქმებულთა ანაზღაურება	-3643	-3595
ცვეთა და ამორტიზაცია	563	0
საპროცენტო შემოსავალი:	-53929	-46729
საპროცენტო ხარჯი :	-17975	-15864
იჯარის ხარჯი	-9813	-29899
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-205660	-309040
სულ საოპერაციო ხარჯები	527486	565370
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-42425	36888
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	485061	602258
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	485061	602258
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	485061	602258
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1001529	899271
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-148130	-500000
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1338460	1001529

შპს ჯ.ზ. ჯიჰანი
მთავარი ბუღალტერი
დირექტორი



თამარ ნანიტაშვილი
ნუნუ ხაჩიძე

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯ.ზ. ჯიჰანი (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით 200278225 დაფუძნდა 2009 წელს, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ფოთი, ლარნაკას ქუჩა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სატვირთო ავტომობილების ნაწილებით ვაჭრობა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს დამფუძნებელ პარტნიორთა წილები:

მესაკუთრე	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ვიტალი ნანიტაშვილი	50%
ანრი ბერეკაშვილი	50%

კომპანიის დირექტორი 31.12.2019 მდგომარეობით არის ნუნუ ხაჩიძე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი, სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ზასს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული ანგარიშგება პირველად მომზადდა „მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე, იმის დაშვებით რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ნაგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგებისა ან ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება და ზარალი წარდენილია სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ მოგება ან ზარალის სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო სიდიდით.

2019 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოური ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 1 იანვარს	2.6766	3.0701
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანში აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახდით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახდო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახდო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახდო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახდები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით.

კომპანია იყენებს ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალების ყველა ჯგუფისთვის. ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით პერპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმიდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაითვლება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანაშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწევა. კომპანიას საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სავაჭრო ცენტრებთან მაღაზიების ფართებზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფართის გამოსყიდვის უფლება. შესაბამისად, კომპანიის მიერ გადახდილი იჯარის თანხა გამოიქვითება პერიოდის მოგება/ზარალში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის ნაშთის მეთოდით.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება, გუდვილის გარდა

ანგარიშების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივითვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, ფულს გზაში, დეპოზიტებს და ფასიან ქაღალდებს. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან ცვლადი გადახდებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. სესხები და მოთხოვნები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით.

2. შემოსავლები

შემოსავალი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
შემოსავალი სატვირთო ავტომობილის ნაწილებით ვაჭრობიდან	2 310 695	2 047 459
საპროცენტო შემოსავალი		563
სულ	2 310 695	2 048 022

3. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2019
ხელფასის ხარჯი	212 953	120 863
ცვეთა და ამორტიზაცია	3 595	3 643
იჯარის ხარჯი	15 864	17 975
საბანკო ხარჯი	8 629	5 508
კომუნალური ხარჯი	1 362	477
საპროცენტო ხარჯი	46 729	53 929
სხვა ხარჯი	19 908	3 828
სულ	309 040	206 223

4. არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის მიერ 2018 წელს განხორციელებული სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულია მოგება 36 888 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წელს მიღებული იქნა ზარალი - 42 425 ლარის ოდენობით.

5. სხვა სრული შემოსავალი

კომპანიის მიერ მოხდა 2018 წელს 500 000 ლარის ოდენობის დივიდენდის გაცემა და შესაბამისი გადასახადებით დაბეგვრა, ხოლო 2019 წელს გაცემული იქნა დივიდენდი 148 130 ლარის ოდენობით.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2018 წლის 1 იანვრის, 2018 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	01.01.2018	01.01.2019	31.12.2019
ნაღდი ფული სალაროში	407 217	96 684	126 495
ლარი საბანკო ანგარიშებზე	848	9 916	4 737
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	19 543	5 377	574
სულ	427 608	111 977	131 806

7. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საქმიანობის სფეროა სატვირთო ავტომობილის ნაწილებით ვაჭრობა და სავაჭრო მოთხოვნებში აისახება კლიენტების მიერ გადაუხდეელი დებიტორული დავალიანებები.

8. მარაგები

მარაგებში აისახება სატვირთო ავტომობილების ნაწილები შემენის თვითღირებულებით, მარაგები არის მუდმივად განახლებადი და მათი გაუფასურების რისკი არ დგება.

9. გაცემული სესხი და დარიცხული პროცენტი

კომპანიამ შპს „ვს გრუპზე“ 01.11.2019 წელს გასცა სესხი 30 000 ლარის ოდენობით, რომელზეც პროცენტის დარიცხვა ხდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. წლის ბოლომდე დარიცხულმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 563 ლარი.

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018-2019 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2018	2 908	5 047		7 955
შემოსვლა		7200	21 777	28 977
გასვლა				
31.12.2018	2 908	12 247	21 777	36 932
დაგროვილი ცვეთა				
01.01.2018	(382)	(2 019)	(0)	(2 401)
გასვლა				
პერიოდის ცვეთა	(291)	(1 308)	(1 996)	(3 595)
დაგროვილი ცვეთა				
31.12.2018	(673)	(3 327)	(1 996)	(5 996)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
31.12.2018	2 235	8 920	19 781	30 936
შემოსვლა	579	169	16 525	17 273
გასვლა				
31.12.2018	2 814	9 089	36 306	48 209
დაგროვილი ცვეთა				
01.01.2018				
გასვლა				
პერიოდის ცვეთა	(310)	(1 336)	(1 996)	(3 643)
დაგროვილი ცვეთა				
31.12.2018				
ნარჩენი საბალანსო ღირებულება				
31.12.2018	2 504	7 753	34 310	44 567

კომპანიის საკუთრებაში არსებულ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით.

11. მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები

	01.01.2018	31.12.2018	31.12.2019
სავაჭრო ვალდებულებები	190 206	246 279	82 441
საგადასახადო ვალდებულებები	61 272	84 647	102 647
გრძელვადიანი სესხი საქართველოს ბანკიდან	678 286	1 019 070	826 274
სულ ვალდებულებები	929 764	1 349 996	1 011 362

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქონლის/მომსახურების შეძენის პროცესში წარმოქმნილ ვალდებულებებს, რომელთა დაფარვა ხდება მოკლევადიან პერიოდში.

მიმდინარე ხარჯების დასაფარად კომპანიის მიერ აღებულია სესხი საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას და საჭიროებიდან გამომდინარე ხდება მისი განახლება პერიოდულად ახალი გრაფიკით.

12. საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელი მოგების ნაშთებს ყველა პერიოდის ბოლოსთვის. 01.01.2018 – 899 271 ლარი, 31.12.2018 – 1 001 529 ლარი, 31.12.2019 – 1 338 460 ლარი.

13. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, ჯარიმები. კომპანიას

მიაჩნია რომ ყველა გადასახადი დარიცხული აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მთავარი ბუღალტერი



დირექტორი

ნუნუ ხაჩიძე

თამარ ნანიტაშვილი

ნუნუ ხაჩიძე

30.09.2020